



# ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1915  
26/11/2018

ქალაქი ბათუმი

1915-05-4-201811261108



**ნუნუ მამულაიშვილზე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების II რანგის II კატეგორიის უფროსზე მიმდინარე წლის ანაზღაურებადი შვებულებიდან 04 სამუშაო დღის მიცემისა და ელზა გოგიტიძეზე - მეორადი სტრუქტურული ერთეულის - ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების III რანგის II კატეგორიის უფროს სპეციალისტზე განყოფილების უფროსის დროებით მოვალეობის დაკისრების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ - საქართველოს კანონის 62-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-3 პუნქტების, 50-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-9 პუნქტისა და ნუნუ მამულაიშვილის 2018 წლის 22 ნოემბრის №3369-05 განცხადების შესაბამისად **ვბრძანებ:**

1. ნუნუ მამულაიშვილს - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების II რანგის II კატეგორიის უფროსს, მიეცეს მიმდინარე წლის ანაზღაურებადი შვებულებიდან 04 სამუშაო დღე, 2018 წლის 26 ნოემბრიდან 30 ნოემბრის ჩათვლით.

2. ელზა გოგიტიძეს - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების III რანგის II კატეგორიის უფროს სპეციალისტს, დაეკისროს განყოფილების უფროსის დროებით მოვალეობის შესრულება, ამავე თანამდებობაზე მომუშავე ნუნუ მამულაიშვილის ანაზღაურებად შვებულებაში ყოფნის პერიოდით, 2018 წლის 26 ნოემბრიდან 30 ნოემბრის ჩათვლით.

3. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა (ტ. ნაკაშიძე) უზრუნველყოს საშვებულებო თანხის ანაზღაურება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4. ბრძანების გაცნობა დაინტერესებულ პირზე დაევალოს მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ვარდმანიძე ჯუმბერ

მუნიციპალიტეტის მერი  
ხელმძღვანელობა